სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N03/35

ბრალდებულთა და მსჯავდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

21 მარტი 2014 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს „ავერსი-ფარმა"
მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N148/2,
ტელეფონი: (995 32) 225 00 66
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - **ირაკლი ფურცელაძის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22,
IBAN: GE06BG0000000122932100
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის N2164 განკარგულება.

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- **ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა;**
- **CPV კოდი: 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები;**

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

შემსრულებელი:

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - 580.08 ლარს (ხუთასოთხმოცი ლარი და 08 თეთრი);

3.3 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია **დანართში N1 - ფასების ცხრილი;**

3.4 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში;

3.5 დაფინანსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

3.7 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკუმენტაციის საფუძველზე, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვარგისიანობის ვადა

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ - 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **ქ. თბილისი პოლიციის ქუჩა N10-ში ან/და სანდრო ეულის N3.**

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის **4.2 ქვეპუნქტში** მითითებულ მისამართებზე მიტანა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან საკუთრების უფლება გადადის შემსყიდველზე.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი;

4.5 მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან საერთო ვარგისიანობის ვადის არანაკლებ 70%-ს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (სასაქონლო ზედნადების გამოწერით). საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტითა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გამოწერით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხიმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ჯანდაცვის ეკონომიკის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - **გიორგი ფრუიძე.**

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვარგისიანობის ვადის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

6.3 შემსყიდველი მხრიდან კონტროლს განახორციელებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ჯანდაცვის ეკონომიკის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი - **გიორგი ფრუიძე.**

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

შემსრულებელი:

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 თუ „მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.**

9.3.2 განუსაზღვროს მიწოდების დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი" დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მიწოდების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**

9.5 თუ „მიმწოდებელი" დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მიწოდების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი" წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

შემსრულებელი:

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	შპს „ავერსი-ფარმა"
გრიგოლ გიორგაძე	ირაკლი ფურცელაძე

შემსრულებელი:

დანართი N1

2014 წლის 21 მარტის N03/35 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	33661500	ვინპოცეტინი 5მგ №30	კოლოფი	17	2.2	37.40
2	33662100	მობიკამი 15მგ №20	კოლოფი	10	5.82	58.20
3	33612000	ენტეროფორმი №20	კოლოფი	20	5.7	114.00
4	33690000	ლ-თიროქსინი 100მკგ №100	კოლოფი	2	5.5	11.00
5	33614000	დიალინი 120მლ სუს	ფლაკონი	10	9.33	93.30
6	33622200	კაპტოპრილი (კაპტი) 25 მგ №50	კოლოფი	10	3	30.00
7	33632100	არტოქსანი 20მგ №3	კოლოფი	2	20.56	41.12
8	33632100	ტექსამენი 20მგ №10	კოლოფი	1	6.52	6.52
9	33651000	ტოპტი 500მგ №10	კოლოფი	1	23.28	23.28
10	33690000	კორაქსანი 7.5მგ №56	კოლოფი	1	45	45.00
11	33611000	ულსეპანი 40მგ №20	კოლოფი	2	22.62	45.24
12	33670000	მონტელარი 10მგ №28	კოლოფი	3	19.28	57.84
13	33616000	ვიტ B კომპექსი 2მლ №10	კოლოფი	2	5.17	10.34
14	33620000	პლეტოზი 50მგ №10	კოლოფი	1	6.84	6.84
		ჯამი:				**580.08**

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

შპს „ავერსი-ფარმა“

ირაკლი ფურცელაძე

შემსრულებელი: _____

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 21 მარტი 2014 წელი

მიმწოდებელი: შპს „ავერსი-ფარმა“

ხელშეკრულების № 03/35

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე
2. ამირან ჯეგისაშვილი
3. გივი ქემოკლიძე
4. შალვა ჯულაყიძე
5. გიორგი ფრუიძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტრო
MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 3 14 00119480

18/03/2014

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის
ნათია ლანდიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,
მოგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების #19, #15, #7, #17 და #8 დაწესებულებებში მყოფ პაციენტებს ესაჭიროებათ დანართში მითითებული ინდივიდუალური დანიშნულების მედიკამენტები. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ, წარმოდგენილი მოთხოვნები გადაეგზავნა შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა"ს. სავარაუდო მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი იქნა ინვოისები, რომლებშიც მითითებულია მოთხოვნილი მედიკამენტების ფასები. გთხოვთ, საქართველოს მთავრობის #2164 განკარგულების საფუძველზე, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განიხილოს წარმოდგენილი ინვოისები და განახორციელოს დანართში მითითებული მედიკამენტების შესყიდვა.
დანართი: შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა"ს ინვოისი
შ.პ.ს. „პსპ ფარმა"ს ინვოისი
ინვოისების შედარებითი ცხრილი

პატივისცემით

ნათია ლანდია

0186, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3
3 Sandro Euli Str., Tbilisi, 0186, Georgia, www.moc.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2312734, ფაქსი/Fax: (+995 32) 2311901

№	მოთხოვნა	რაო-ბა	დაწ	ავერსი შემოთავაზება	რაო-ბა	ერთ.ფასი	ჯამი
1	კავინტონი 5მგ	10 კოლოფი	7	ვინპოცეტინი 5მგ №30	17	2.2	37.4
2	ბეტასერკი 16მგ	320 აბი	7/200, 15/120	ბეტასერკი 16მგ №30	11	25.85	284.35
3	ცერებროლიზინი	5 კოლოფი	7	ცერებროლიზინი 1მლ №10	5	21.58	107.9
4	მელოქსიკამი 15მგ	200 აბი	7	მობიკამი 15მგ №20	10	5.82	58.2
5	ტექსამენი	20 ფლაკონი	7	ტექსამენი - ლ 20მგ/2მლ ს/ფხ №1	20	5.4	108
6	ენტენორმი	20 კოლოფი	7	ენტენორმი №20	20	5.7	114
7	ლ-თიროქსინი	200 აბი	7	ლ-თიროქსინი 100მკგ №100	2	5.5	11
8	დიალინი	10 ფლაკონი	7	დიალინი 120მლ სუს	10	9.33	93.3
9	კაპტოპრილი 25მგ	10 კოლოფი	7	კაპტოპრილი (კაპტი) 25 მგ №50	10	3	30
10	ადენო-რიცი	10 კოლოფი	15	ადენო-რიცი №60	10	16.38	163.8
11	არტოქსანი	7 ამპულა	15	არტოქსანი 20მგ №3	2	20.56	41.12
12	არტოქსანი 20მგ	10 აბი	15	ტექსამენი 20მგ №10	1	6.52	6.52
13	ზირამინი 500მგ	12 კაფსულა	15	ტოპტი 500მგ №10	1	23.28	23.28
14	ივაბრადინი 7.5მგ	60 აბი	15	კორაქსანი 7.5მგ №56	1	45	45
15	ულსეპამი	30 აბი	15	ულსეპანი 40მგ №20	2	22.62	45.24
16	ქსილოიალი	5 ფლაკონი	19				
17	აკრეტანი 10მგ	90 აბი	17	მონტელარი 10მგ №28	3	19.28	57.84
18	დრიფტანი 5მგ	100 აბი	17				
19	ბ კომპლექსი	20 ამპულა	17	ვიტ B კომპექსი 2მლ №10	2	5.17	10.34
20	პლეტოზი 50მგ	1 კოლოფი	8	პლეტოზი 50მგ №10	1	6.84	6.84
							1244.13

	პსპ შემოთავაზება	რაო-ბა	ჯამი				
	კავინტონი 5მგ №50	10	62.1	კოლოფი	33661500		
	ვაზოსერკი ფორტე 16მგ №30	11	189.64	კოლოფი	33690000		
	ცერებროლიზინი 1მლ №10	5	81.2	კოლოფი	33661500		
	კამელოტი 15მგ №10	20	195.4	კოლოფი	33662100		
	ტექსამენი - ლ 20მგ/2მლ ს/ფხ №1	20	105.4	ცალი	33632100		
	ენტენორმი №20	20	171	კოლოფი	33612000		
	ლ-თიროქსინი 100მკგ №100	2	12	კოლოფი	33690000		
	დიალინი 120მლ სუს	10	115	ფლაკონი	33614000		
	კაპტოპრილი 25 მგ №20	10	16.2	კოლოფი	33622200		
	ადენო-რიცი №20	10	66	კოლოფი	33641000		
	არტოქსანი 20მგ №3	2	46.26	კოლოფი	33632100		
	არტოქსანი 20მგ №10	1	12.29	კოლოფი	33632100		
	აზიმაკი 500მგ №3	4	37.76	კოლოფი	33651000		
	კორაქსანი 7.5მგ №56	1	51.87	კოლოფი	33690000		
	ულსეპანი 40მგ №20	2	56.54	კოლოფი	33611000		
	აკრეტინი 10მგ №28	3	128.49	კოლოფი	33670000		
	ვიტ B კომპექსი 2მლ №10	2	10.94	კოლოფი	33616000		
	პლეტოზი 50მგ №10	1	6.98	კოლოფი	33620000		
			1365.07				

168171
"31" 12 2013 წ.

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N2164 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამისათვის „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით" გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი - 27 04) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა თვეში არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი